საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაჩანა



ბაჩანა

ბაჩანა (ნამდვ. სახელი და გვარი ნიკო პავლეს ძე რაზიკაშვილი) (16. V. 1866, სოფ. ჩარგალი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 18. XII. 1928, თბილისი), პოეტი.

გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების (1885) შემდეგ მასწავლებლობდა ვეჯინში, 1890-იდან კი – ბარისახოში, ხევსურეთის პირველ სკოლაში. 1900–20 მაღაროსკარის, ჩარგლის, დუშეთის, სიღნაღისა და ბოდბის სკოლებში ასწავლიდა. საბოლოოდ ქვემო ქედში დამკვიდრდა. მწერლობა 80-იან წლებში დაიწყო. ბ-ს პოეზიაში მთის ხალხთა ზეპირსიტყვიერებისა (კრებდა მის ნიმუშებს) და ქართ. კლასიკური მწერლობის (განსაკუთრებით უფროსი ძმის, ვაჟა-ფშაველას) დიდი გავლენა შეინიშნება. მისი შემოქმედების თემატიკას იმდროინდელი საქართვ. *პოლიტ.* მდგომარეობა განსაზღვრავდა. ლექსებში „ნატვრა“, „ტყვის სიმღერა“, „მუხა“, „ვინ სთქვა საქართველოზე“ და სხვ. ბ. სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით გადმოსცემდა სამშობლოს მძიმე მდგომარეობას, რაც განაპირობებდა მისი ლექსების ელეგიურ ტონს („ოცნება პატიმრისა“, „გზააბნეული“).

ბ-ს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბუნებას, როგორც ადამიანის ცხოვრების თანაზიარ ყოვლისშემძლე ძალას. ბუნების კანონზომიერებანი აბსოლუტურია, ცხოვრება მოძრაობა-განვითარებაშია, ბუნება კი „თვით არის უცვლელი, სიკვდილ-

სიცოცხლის მყოფელი“. ახალი საზ-ბის მშენებლად იგი თვლის ბუნების ურყევი კანონზომიერების შეგნების მქონე თავისუფალ ადამიანს. პოემებში „თაღლაურა“ (1884), „ნანაის სიმღერა“ (1889), „საფრთხე“ (1891) პოეტი მთიელთა ყოფა-ცხოვრებას აღწერს; პოემა-რომანში „წაწლობა“ (1919–24) ბ. ფშავის თემის ზოგიერთი წეს-ჩვეულების დრომოჭმულობას ააშკარავებს. XX ს. დასაწყისში მის პოეზიაში ჩნდება ადამიანთა უფლებრივ-ქონებრივი გათანასწორების მოტივი.

თხზ.: ლექსები, პოემები, თბ., 1938; მუხავ. მიყვარხარ, ტიალო: ლექსები, პოემები, [შემდგ. ივ. ქართველიშვილი], თბ., 1988.

ლიტ.: ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი მ., ლიტერატურული ნარკვევები, [ტ.] 2, თბ., 1961; მ ა ხ ა რ ა ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 3, თბ., 1965; ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია (XIX ს.), ტფ., 1917.

ს. ხუციშვილი